



ძვირფასო DWV-ს წევრებო და მეგობრებო,

ჩვენს ქართულენოვან ბიზნეს-ბიულეტენში ჩვენ თქვენთვის კვლავ შევაჯამეთ სიახლეები DWV-სა და მისი წევრი კომპანიების/პარტნიორების, ჩატარებული და დაგეგმილი ღონისძიებების, წევრების ექსკლუზიური შეთავაზებებისა და მნიშვნელოვანი ბიზნეს სიახლეების შესახებ. ბიულეტენის ბოლოს იხილავთ სპეციალურ შეთავაზებებს ჩვენი მკითხველებისთვის.

იცოდით, რომ...

გერმანიის ეკონომიკური გაერთიანება ქართულ კომპანიებს გერმანულ ბაზარზე შესვლაში ეხმარება? ჩვენ მზად ვართ, მოგანოდოთ ყველა ამომწურავი, თქვენს ინდივიდუალურ საჭიროებებსა და სურვილებზე მორგებული სერვისი.

- ბაზრის კვლევა
- მისამართების მოძიება
- ბიზნეს პარტნიორის მოძიება
- ბიზნეს მეილინგი
- იურიდიული მისამართი / ვირტუალური ოფისი

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით ეწვიეთ [ჩვენს ვებ-გვერდს](#).

აქტუალური თემა

„უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონპროექტი

„უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონპროექტთან დაკავშირებით გერმანიის ეკონომიკურმა გაერთიანებამ და საქართველოში მოღვაწე ბიზნეს ასოციაციებმა ერთობლივი განცხადება გამოქვეყნეს. განცხადება იხილეთ [თანადართულ ფაილში](#).

აპრილის თვის წევრები



საქართველოს ელექტროტექნიკური ასოციაცია (GETA) არის წამყვანი საწევრო ორგანიზაცია, რომელიც წარმოადგენს საქართველოს ელექტროტექნიკურ სფეროში მოღვაწე კონტრაქტორ კომპანიებს, ინჟინრებს, ელექტრიკოსებს, დისტრიბუტორებს და სხვა დაინტერესებულ მხარეებს. [ასოციაციის](#), როგორც ინდუსტრიის ინტერესების წარმომადგენლის მიზანია, ხელი შეუწყოს უსაფრთხოების და ტექნიკური სტანდარტების ამაღლებას, პროფესიონალიზმის და ცოდნის ზრდას და ქვეყნის მასშტაბით მაღალ-ხარისხიანი ელექტრული ინფრასტრუქტურის მდგრად განვითარებას.



მაქს ვებერის ფონდი - საქართველოს ოფისი მხარს უჭერს აკადემიურ თანამშრომლობას ისტორიკოსებს შორის, რომლებიც არიან საქართველოდან, მისი მემკვიდრე კავკასიის სახელმწიფოებიდან და გერმანიიდან. [საქართველოს ოფისის](#) ინიცირებით, ხელშეწყობითა და კოორდინირებით ხორციელდება ერთობლივი კვლევითი პროექტები გლობალური პერსპექტივის ქრილში ანტიკურიდან თანამედროვე ისტორიის ჩათვლით. ფონდი ატარებს საერთაშორისო კონფერენციებს, მრგვალ მაგიდებს, შეხვედრებს, კოლოკვიუმებსა და სემინარებს. საქართველოს ოფისი უზრუნველყოფს წვდომას მაქს ვებერის ფონდის ბიბლიოთეკასთან და სამეცნიერო პლატფორმასთან.

DWV-ში განუვრიალება შესანიშნავი ინსტრუმენტია გერმანულ და ქართულ კომპანიებს შორის ორმხრივი ეკონომიკური გაცვლისთვის

მეტი წევრობის შესახებ

დაგეგმილი ღონისძიებები

- 14. მაისი 2024 | Hilton Garden Inn Tbilisi Riverview
[DWV-ტრენინგი: მასტერი Excel Master](#)-ში > რეგისტრაცია 11.05.-მდე
- 15. მაისი 2024 | Parallel42 (აბაშიძის ქ. 21ა)
DWV-Get Together
- 22. მაისი 2024 | Swissotel
[DWV-ტრენინგი: შესყიდვების მართვა](#) > რეგისტრაცია 20.05.-მდე

ჩატარებული ღონისძიებები



2024 წლის აპრილში DWV-მ ჩაატარა შემდეგი ღონისძიებები:

- Expert Talk თემაზე **ბრენდის დაცვის სტრატეგია**
- ტრენინგი თემაზე **სოციალური მედია და სამართალი**
- 3-დღიანი ტრენინგი თემაზე **კონფლიქტის მენეჯმენტი**
- Steak-Night ექსკლუზიურად წევრებისთვის

წევრების სიახლეები

Grant Thornton-მა გამართა საჯარო-კერძო დიალოგი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ.

საქართველოს ბანკის მხარდაჭერით აჭარა კოლექტივი რადიო ქალაქის პროექტს ახორციელებს.

თიბისის აგრო სესხის მხარდაჭერით საქართველოში პირველი მზის მოტივტივე ელექტროსადგური აშენდა.

გრანტ თორნტონ აკადემიამ მომხმარებელს ახალი ვებ-გვერდი შესთავაზა

[ყველა სიახლეს გაეცნობით აქ](#)

ეკონომიკის სიახლეები

გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ) საქართველოში ახალ პროექტს „ცირკულარული ქალაქის ლაბორატორია“ იწყებს. პროექტის მიმართულებებია **ნარჩენების მართვა, სათბური აირების ემისიების შემცირება და მრავალჯერადი გამოყენების შეფუთვის სისტემების დანერგვა.**

მსოფლიო ბანკისა (WB) და აზიის განვითარების ბანკის (ADB) პროგნოზების მიხედვით, მომდევნო წლებში **საქართველოში ეკონომიკური ზრდა** არის მოსალოდნელი.

გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ)-ის მიერ დაფინანსებული პროექტი „Connect Georgia“ ამოქმედდა. პროექტის ფარგლებში განსახორციელებელი ინიციატივები მოიცავს აჭარის

მუნიციპალიტეტებში, ასევე თბილისსა და ბათუმში **საზოგადოებრივი ტრანსპორტისა და აქტიური მობილობის** (ველოსიპედითა და ფეხით გადაადგილების) გაუმჯობესებას.

დამტკიცდა „**ადგილობრივ ბაზარზე ქართული ღვინოპროდუქციის პოპულარიზაციის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა**“. პროგრამის, რომლის ფარგლებში დაფინანსდება საქართველოს მასშტაბით დაგეგმილი ქართული ღვინის ფესტივალები, თემატური გამოფენები, კონკურსები, საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული ღონისძიებები და სხვ, განმახორციელებელია ღვინის ეროვნული სააგენტო.

თბილისის ახალი საერთაშორისო აეროპორტი ვაზიანში აშენდება. მშენებლობა დაახლოებით 1,26 მილიარდი დოლარი ეღირება. აეროპორტზე კონტროლს სახელმწიფო შეინარჩუნებს და მისი მართვისთვის კომპანიას შემოიყვანს.

[ყველა სიახლეს გაცნობით აქ](#)

შეთავაზებები ჩვენი მკითხველებისთვის

With any meeting room booking,
enjoy a **complimentary** supply
of homemade lemonade.

*This offer is valid in May of 2024 only.
All rates exclude VAT.*

CHOKHELI

73 square meters
up to 70 people
direct access to the outdoor terrace
7th floor



600 GEL / DAY



KANCHELI

35 square meters
up to 30 people
2/4 walls have windows
6th floor

250 GEL / DAY

KAKHIDZE

24 square meters
up to 20 people
has a private balcony
6th floor



250 GEL / DAY

To receive a file with full info including
coffee and lunch breaks, please email:

Alexandra.POPSUEVA@accor.com

GULAMA SUNDAY BRUNCH

WIDE SELECTION OF EGG DISHES, APPETIZERS,
COLD CUTS, MAIN COURSES, GRILLS & DESSERTS

CHILDREN PLAY AREA WITH TOYS & VIDEOS

INCLUSIVE OF FREE FLOW SOFT DRINKS & JUICES

— GEL 140 —

FREE FLOW PACKAGES FOR WINE & CHAMPAGNE
ARE ALSO AVAILABLE



FOR RESERVATION PLEASE CALL: +995 322 448 888
OR EMAIL US: AYS.LUXURY@PARAGRAPHOTELS.COM



EVERY SUNDAY
12:00 - 16:00 HOURS



At the GULAMA Restaurant



გერმანიის ეკონომიკური გაერთიანება

რუსთაველის გამზ. 24, 0108 თბილისი

ტელ.: +995 32 220 57 67

ელ-ფოსტა info@dwv.ge

www.dwv.ge

თუ არ გსურთ ჩვენგან ბიზნეს ბიულეტენის მიღება,
დააჭირეთ ქვემოთ მითითებულ ბმულზე.

[გამონერის გაუქმება](#)